

945

# ოქტომბრელი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



1945 :: მარტი-აპრილი :: 2-3

# ოქტომბრელი



საბავშვო ჟურნალი  
მცირეწლოვანთათვის

## № 2-3

მარტი-აპრილი  
1945

წელიწადი მუხომეტე

საბარტოშვლოს ალკკ ცენტრალური  
კომიტეტის შრომელთა შრომის ორგანო  
„Октябрь“ ежемесячный детский  
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ  
(მა გუაინსომ ანიკო)


რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ. № 28  
ტელ. 3-81-85

## შ ი ნ ა ა რ ს ი

✓ გიორგი კაჭახიძე—ლენინს (ლექსი) . . . . .	გვ. 1
სიკო ფაშალიშვილი—პირველი ია (ლექსი) . . . . .	2
• გიორგი ქუჩიშვილი—სასახელოდ გამეზარდ (ლექსი) . . . . .	3
• ნინო ნაკაშიძე—ჯამბაკურ (მოთხრობა) . . . . .	4
• ბორის ქვარაია—თალას დედოფალა (ლექსი) . . . . .	6
• გრიგოლ ცეცხლაძე—მარტი (ლექსი) . . . . .	6
• გიორგი კაჭახიძე—ჯერ ვერ იცნობს (ლექსი) . . . . .	7
• როდონ ქორქია—შველი (ზღაპარი) . . . . .	8
• აღეკო შენგელია—ჩემი ხათუნა (ლექსი) . . . . .	10
• ნიკოლოზ ჩაჩავა—მტირალა ილა (ლექსი) . . . . .	11
ინგლისური ხალხური საბავშვო ლექსები თარგმ. ვ. კელიძის . . . . .	12
დაკვირვებული ბავშვი—(უზბეკური ზღაპარი) თარგმანი ა.ტ.-სა . . . . .	13
• იოსებ გრიშაშვილი—მელა და კიბო (ზღაპარი ლექსად) . . . . .	14
• გიორგი ივანიშვილი—ბებია ბაბაღეს მამალი (მოთხრობა) . . . . .	15
• არნო ონელი—საგაზაფხულო სიმღერა (ლექსი) . . . . .	16
გ. ი.—ნოდარის ბოსტანი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.	
რებუსი, გამოცანები . . . . . გარეკანის მე-3 გვ.	

გარეკანის 1-ლ გვ.—„გაზაფხულის მეგობრები“,—ნახატი შესრულებულია მხატვრების ლ. ავალიანისა და ნ. იანქოშვილის მიერ.  
გარეკანის მე-4 გვ.—„მერცხლები მოფრინდნენ“,—ნახატი შესრულებულია მხატვარ ნ. იანქოშვილის მიერ.

ჟურნალი გავფორმებულია მხატვრების: ლ. ავალიანის, მ. ბერძენიშვილის, ა. გიგოლაშვილის, მ. დაუშვილის, ი. დივანჯორცევახის, ნ. იანქოშვილის, ხ. კეცხოველის, ხ. მაისაშვილის, ხ. ნადარეიშვილის და დ. ნაცვლიშვილის მიერ.



4050

# ლენინს

განა მოკვდა, მიგვატოვა,  
ბრძოლის ველზე განა არ სჩანს?!  
მან სიკვდილი საქმით სძლია,  
უკვდავებად ხალხში დარჩა.

დაუმცხრალი „მთის არწივი“  
კვლავ არწივთა გუნდში არის.  
შლის სამშობლოს დროშებს ისევ  
მისი მძლავრი ფრთების ქარი.

ადრინდულად უცემს გული,  
სად არ ბრწყინავს სიბრძნე მისი,  
სად არ ვხედავთ მამა ლენინს,  
ლენინის ხმა სად არ ისმის!

ის ყველგან ჰქუხს, სადაც მზეა,  
ქვეყნის წყლული სადაც რჩება;  
დიდ სტალინთან ერთად მოაქვს  
მას სამშობლოს გამარჯვება.

გიორგი კახანიძე

# პირველი იპ

წუროს ზირას, ბუჩქის ძირას  
დაინახა გუშინ ღიაში,  
როგორ ნახად ვაიღია  
იქ პირველმა მორცხვმა იამ!

სიოს რხევით მობიბინეს  
დილისა მზე შუქსა ჰფენდა,  
მარგალიტის მარცვლივით  
ნამი ჰქონდა ისევ სედა.

—რა კარვია! რამდენია! —  
რა სიაშე იგრძნო გულმა,—  
თითქოს იის ღურჯი ბავით  
შემოსცინა გაზაფხულმა!



ნახატები ი. დივანგორცევასი

მამიკოს სომ ძლიერ უეუარს  
აქური გაზაფხული,  
აქური უვაილები  
შსის სსივებში განასკული!

ის შორს არი, დღეს სხვა ცისქვემ  
ბრძოლით იცავს მშობელ მხარეს,  
და ეს ია, იქ რომ ნახოს,  
იციო, რარივ გაიხარებს!

დღეს სომ დედა წერილს მისწერს!  
კული შვებით უცემს ღიას;  
არვის ეტკვის, იმ წერილში  
ისე ჩუმიდ ჩანდებს იას!

მოწვევითა და შინ მისულმა  
შეასრულა განზრახული:  
პირველ ით მებრძოლ მამას  
მიულოცა გაზაფხული!

სიკო ვაჟალიძვილი





## ❖ სასახელოდ გამეზარდე ❖

კამილიძე, შქომციხე,  
ერთადერთი გული-გულო;  
გაბადრული შუქი მუხნე,  
დედის სულთქმა-სისხარულა!  
იღუღუნე, ჩემო შტრედო,  
ინებეიურე,

იფართხაღე;  
სასახელოდ გამეზარდე,  
შემატე მებრძოლ ძალებს  
და სამშობლოს, თუ დასჭირდე,  
შვილო, თავიც ანაცვაღე!

გიორგი ქაჩიავილი

# ჯამბაკური

საუზმის შემდეგ ბავშვები მწყობრად გამოვიდნენ საბავშვო ბაღიდან. ჯერ სულ პატარები იყვნენ მწყობრში, მერე უფროსი კლასის ბავშვები. ჯამბაკურ უკანასკნელ წყებაში იყო. ისინი საჩუქრებით ჰოსპიტალში მიდიოდნენ დაქრილი წითელარმიელების სანახავად. ბავშვებს წინ ნატო მასწავლებელი მიუძღოდა, აქეთ-იქით კი მიჰყვებოდნენ სხვა მასწავლებლები: ელენა, ნათელა, თამარი და ნინო.

იმათ დანახვაზე გამულეღ-გამომულელნი ჩერდებოდნენ და უტკერდნენ მათ. ზოგი აღერსიანად შესძახოდა:

—სად მიდიხართ, თქვე კულრაქებო?

—გმირების სანახავად!

—საჩუქრებიც მიგვაქვს. —პასუხობდნენ ბავშვები.

—აბა, თქვენ იცით, გაიხარეთ და გაიზარდეთ, კულრაქებო! —ღიმილით ეუბნებოდნენ გამულელნი.

დიდ ეზოში, წითელ სამსართულიან სახლში იყო მოთავსებული ჰოსპიტალი. შესასვლელში ღიღრონი მარმარილოს სვეტები ჰქონდა ჰოსპიტალს. თეთრი და ფართო კიბე ადიოდა ზედა სართულში.

ბავშვები ავიდნენ კიბეზე. დერეფანში მოიხადეს ქუდები, გაიხადეს პალტოები... შემდეგ მასწავლებლების თანხლებით წყნარად შევიდნენ დიდ და ნათელ დარბაზში, სადაც დაქრილი წითელარმიელები ისხდნენ სკამებზე, საფარძლეებში და სკამ-ლოგინებზე. ზოგს ფეხი ჰქონდა შეხვეული თეთრი ბინტით, ზოგს მკერდი, ზოგს თავი, ზოგს ხელი ჩამოეკიდა მკერდზე.

ბავშვების დანახვაზე წითელარმიელებს სიამოვნებით თვალები გაუბრწყინდათ. პატარები შეჩერდნენ.

—აბა, ჯამბაკურ! —მიმართა ჯამბაკურს ნატო მასწავლებელმა. ჯამბაკურმა თავი ასწია, წინ წაღვა.

—გამარჯვება თქვენი, ჩვენო საყვარელო წითელარმიელებო! —მიმართა მათ ჯამბაკურმა.—ჩვენ მოვედით თქვენს სანახავად; მოვედით, რომ მოვისმინოთ თქვენი გმირობის ამბები, რომ ვისწავლოთ თქვენგან სამშობლოსათვის თავდადება; ჩვენც თქვენსავით გვიყვარს სამშობლო და ძია სტალინი.

ჯამბაკურ შეჩერდა. გაისმა შეძახილები:

—ვაშა ძია სტალინი!

—ვაშა წითელ გმირებს!

როცა სიწყნარე ჩამოვარდა, ქეთო წაღვა წინ.

—ძიებო, ჩვენო გმირო წითელარმიელებო! —დაიწყო ქეთომ, —ჩვენ მოგიტანეთ საჩუქრები. გვინდა ვაგართოთ, ვაგახაროთ: გიმღეროთ, ვიცეკვოთ და გითხრათ ლექსები. ჩვენ ყოველთვის ვვახსოვებართ...

ჯამბაკურ და ქეთო პირველი წავიდნენ საჩუქრებით წითელარმიელებისაკენ, მათ ხეებიც მიჰყვნენ.

ჯამბაკურ მივიდა წითელარმიელთან, რომელსაც შეხვეული ხელი მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ფრთხილად შემოაცალა ჭალადი ქრელ კოლოფს და წითელარმიელს წინ დაუდვა. კოლოფში ნამცხვარი იყო ჩაწყობილი, კოლოფს სახურავზე

ნახატი და ლამაზი ლენტი ჰქონდა დაწებებული.

—აი, ძია, ეს მე დავხატე, ეს ლენტო მკ დაღაწებე.

—ოჰ, შენ დახატე?.. კარგია, აბა, წაიკითხო რა სწერია ამ ლენტზე: „წითელ გმირს —ჯამბაკურისგან“.

—აი, ეს მე ვარ, ძია, ახლა კი არა, რომ გავიზრდები, —და ჯამბაკურმა აჩვენა თავისი დახატული წითელარმიელი დროშით და ხმლით ხელში.

—ყოჩაღ, ყოჩაღ, ჯამბაკურ! —უთხრა ნასიამოვნებმა დაქრილმა მეომარმა, მოხვია ცალი ხელი და აკოცა. —მე ზურაბი მქვია, —დაუმატა შემდეგ. დარბაზში ბავშვებისა და წითელ არმიელების საუბართა სასიამოვნო ხმა ისმოდა:

—შეხედე, ზურაბ, მე რა საჩუქარი მიმიტანა ამ პატარა ცქრილა კეთომ. გადმოსძახა ზურაბს ამხანაგმა წითელარმიელმა და ქეთოს მოტანილი თეთრი ძაფით ამოქსოვილი ლურჯი ხელთათმანი გაუწოდა.

—რა მშვენიერი საჩუქარია! —სთქვა ზურაბმა.

—ძია, შენ არ გაქვს ხელთათმანები?

—ჰკითხა ჯამბაკურმა ზურაბს.

—მე ცალი ხელთათმანი მაქვს.

—მეორე დაჰკარგე?

—არ მჭირდება. მე ცალი ხელი მაქვს, მეორე მტრის ტყვიამ წამაგლიჯა.

ჯამბაკური შეჩერდა. დააცქერდა ზურაბის წაგლეჯილ ხელს და დალონდა.

—ძია, იქნებ ეჭიმმა მოგირჩინოს, —სთქვა ბოლოს ჯამბაკურმა, —იქნებ წამოგზარდოს, ამიტომ ჩემს ხელთათმანს გაჩქებ. დედამ ისე დიდი მომიქსოვა, რომ ჩემი ხელთათმანი უთუოდ მოგერგება.

ჯამბაკურ მოტრიილდა. სწრაფად დერეფანში გავიდა. თავის პალტოს ჯიბი-

დან ცალი ხელთათმანი ამოიღო და ზურაბს მიუტანა.

—ჰა, ძია, გქონდეს საჩუქრად.

ზურაბი უარზე იყო, მაგრამ ჯამბაკურ არ მოეშვა... ზურაბმა ბოლოს ღიმილით ჩამოართვა ჯამბაკურს ხელთათმანი და ჯიბეში ჩაიღო, როგორც პატარა ბიჭის ძვირფასი საჩუქარი.

ბავშვები უკვე აწყობდნენ წრეს შუა დარბაზში ხმაურითა და სიცილით. როცა ყველა ბავშვი წრეს შეფურთდა, ნინო მასწავლებელმა დაჰკრა თითები როიალის კლავიშებს და დარბაზი გაივსო პატარების წკრიალა სიმღერებით.

## ენო ნაკაშიძე



# თალას დედოფალა

სულ თამაშობს, სულ კისკისებს  
პაწაწინა ცელქი თალა  
და უჭირავს ხელში მუდამ  
საყვარელი დედოფალა.

დილით, როცა დედამისი  
სასაუზმოდ ნამცხვრებს აცხობს,  
მაშინ თალა დედოფალას  
კრელ კაბაში გამოაწყობს.

ყელზე მძივებს შემობაბას,  
დაუყვავებს, გაუწყრება,

—ხომ არ გშოია, გენაცვალე?—  
მზრუნველობით ეკითხება!


თმას დაუწნავს მორიდებით,  
კისფერ ბანტებს გაუკეთებს,  
არ იფიქროთ, ცელქი თალა  
რომ ჩამორჩეს ნამდვილ დედებს.

დაფუსფუსებს, დახტის, მღერის  
პაწაწინა ცელქი თალა  
და უჭირავს ხელში მუდამ  
საყვარელი დედოფალა!

ბორის შვარიძე

# მ ა რ ტ ი ა

ნახატი ხ. კაცხოველისა



გაჭკრა თეთრწვერა ზამთარი,  
სუსსიან—ეინვებიანი.  
მარტია—ამ წამს წვიმაა,  
იმ წამს დარია მზიანი.

ტუემლები აევაგებულან,  
—„გუ-გუ!“—გვეძანის გუგული.  
ხუნა-თესვაც უკვე დაიწყო,  
ისმის ტრაქტორის გუგუნი.

გრიგოლ მუსხლიანი

# ჯერ ვერ იცნობს



ნახატი მ. ბერეჟინიშვილისა

გაიზარდა, ცელქობს ზურა,  
წელს სიცოცხლე მეტად იგრძნო,  
შარშანდელი ტანსაცმელი  
უკვე არის მისთვის ვიწრო.  
უყვარს დედა, ბებიც უყვარს,  
მაგრამ მამას ჯერ ვერ იცნობს.

რა ჰქნას! მამა ფრონტზე იბრძვის,  
მტრებს მუსრავს და დევნის მარდაღ.  
ის რომ ჯარში მიდიოდა,  
ზურა მაშინ დაიბადა.  
აწოვებდა დედა ძუძუს,  
კარგი ბები ხშირად ჰბანდა.

ახლა ცელქობს... დღეს ბეკეკას  
გაჯაფრება მოისურვა.  
თუ მამაზე ჰკითხავ რამეს,  
— ფრონტზეაო, — გეტყვის ზურა,  
კედლისაქენ გაიქცევა  
და გაჩვენებს მამის სურათს.

ნეტავ, როგორ მოიქცევა,  
ნეტავ, როგორ გაიხარებს,  
როცა მამა დაბრუნდება  
და გაუღებს დედა კარებს?  
აღბათ, მალე შეეჩვევა,  
წრფელი გულით შეეყვარებს!

გიორგი კახანიძე

# შ. ვ. ე. ლ. ი.



ზ. ლ. ა. ბ. ა. რ. ი.

## 1

მთელი ღამე არ ეძინა შველს. მთელი ღამე გამაყრუებელი ხმაური ისმოდა და შფოთავდა ტყე. კანკალებდა შველი, კობტა, შეთვალა შველი.

ვინ იცის რამდენი საუკუნეა მას აქეთ, რაც აქ შველი ცხოვრობს და არაყის არ წაურთმევია მისთვის ეს მიწა და წყალი. ჩრდილი და შეიარი, სიმშვიდე და თავისუფლება. ხანდახან მონადირენი თუ მოვიდოდნენ, მაგრამ მარდი იყო შველი, ისეთ ბარდებში შეიმალებოდა, საიდანაც ჩიტი კურკანტელს ვერ გამოიკრანდა.

მაგრამ ყველაფერს ჰქონია ბოლო: ხვალ ამ ტყეში შემოვა ინჟინერი და გაჩეხავს ტყეს; მერე მოვა აგრონომი და გააშენებს ბაღებს; მერე მოვა რაიკომის მდივანი და დაასახლებს ხალხს. სად იცხოვროს, რას შეათაროს მერე: თავი საწყალმა შველმა?

## 2.

ჩკინა—ჯაქვებით დაკლავილი ექსკავტორი ხორთუმით ჰგლეჯდა ხეებს, გარემოს გულუნით აყრუებდა. იქვე, მუხლამდე წყალში, ინჟინერი იდგა. შველმა მას მიაშურა, გრძელი კისერი დაიმოკლა და უთხრა:

—ინჟინერო, ინჟინერო, მიშველე! ტყე აჩეხეს, ქაობი ამოაშრეს, შეიარი აჰკაფეს და რა ვქნა? დედა მყავს, მამა მყავს, ხომ უნდა მოვუარო იმათ? პატარა და მყავს, პატარა ძმა მყავს, ხომ უნდა ვიზრუნო იმათზე? შენი ჭირიმე, ინჟინერო, დამიტოვე ტყე! ნუ ამოწყვეტ ჩემს ოჯახს!

—რა მეოცნებე ყოფილხარ, ჩემო ძმაო!—უპასუხა ინჟინერმა.—მე გვგმა უნდა შევასრულო. ათეული ათასი ჰექტარი უნდა დავაშრო და სად მკალია შენთვის?

დალონდა შველი. ცრემლით დაერთვილა ლამაზი თვალები, მაგრამ უკან ხომ ვერ დაბრუნდებოდა? ადგა და ქალაში წავიდა. სწორედ შარშან აქ დაბტოდა შველი, ნე-ბივრობდა, ლალობდა; ახლა კი ციტრუსების მწვანე ბაღები გაუშენებიათ აქ.

ბაღში აგრონომი იდგა და კოლმურნეებს ციტრუსების მოვლას აწავლიდა.

შველი აგრონომთან მივიდა, გრძელი კისერი დაიმოკლა და უთხრა:

—აგრონომო, აგრონომო, მიშველე! ტყე გაჩეხეს, ქაობი ამოაშრეს, შეიარი აჰკაფეს და რა ვქნა? დედა მყავს, მამა მყავს, ხომ უნდა მოვუარო იმათ? პატარა და მყავს, პატარა ძმა მყავს, ხომ უნდა ვიზრუნო იმათთვის? შენი ჭირიმე, აგრონომო, დამიტოვე ეგ ქალი! ნუ ამოწყვეტ ჩემს ოჯახს!

—რა მეოცნებე ყოფილხარ, ჩემო ძმაო, უპასუხა აგრონომმა.—მე გვგმა უნდა შევასრულო. ათეული მილიონი ციტრუსი უნდა დავრგო. სად მკალია შენთვის?

დალონდა შველი. ცრემლით დაერთვილა ლამაზი თვალები, მაგრამ უკან ხომ არ დაბრუნდებოდა?

იარა, იარა. ბევრი იარა თუ ცოტა, რაიკომის მდივანთან მივიდა. შუალაზე იყო. ეძინა ქალაქს. მხოლოდ რაიკომის მდივანს არ ეძინა. მაგიდასთან იჯდა და თავუღებოვ მუშაობდა.

შველმა რქებით კარს მიაკაკუნა.

—შემოდით!—მოესმა შველს.

—შველმა ბაკიბუკით გაიარა იატაკზე. გრძელი კისერი დაიმოკლა და უთხრა რაიკომის მდივანს:

—მიშველე მდივანო! ტყე გაჩეხეს, ქაობი ამოაშრეს, შეიარი აჰკაფეს, მე რა ვქნა?

დღეა მყავს, მამა მყავს, ხომ უნდა მოვუ-  
არო იმათ? პატარა და მყავს, პატარა ძმა  
მყავს, ხომ უნდა ვიზრუნო იმათთვის? შენი  
ჭირივე, მდივანო, მიშველე რამე! ნუ ამოს-  
წყვეტ ჩემს ოჯახს!

მდივანი ჩაფიქრდა: შემდეგ გაუღიმა და  
უთხრა:

— კარგი შველო! კოლხიდის მშენებელს  
მიმართე და ის გიშველოს.

— ეხ, მე ვინ ვიმიშვებს კოლხიდის მშე-  
ნებელთან? ან სად ვნახავ მას?

— ხელო კოლხიდაში ჩამოვა და იქ მო-  
უცადე! — ურჩია რაიკომის მდივანმა.

3

იქ, სადაც კოლხიდელები ჰაობს შესე-  
ოდნენ, სადაც ადამიანს არასოდეს არ და-  
უდგამს ფეხი, მოვიდა კოლხიდის მშენე-  
ბელი, ქართველი ხალხის სიამაყე. თავი  
ყაბალახით ჰქონდა წაკრული, ფეხთ რეზ-  
ინის მაღალი ჩექმები ეცვა. მისი თვალები  
მზესავით დანათოდა მდორე რიონსა და  
ახალ მიწას. კოლხიდის მშენებელს თან  
ახლდნენ რაიკომის მდივანი, ინჟინერი და  
აგრონომი.

შველი ბარდში უცდიდა. როგორც კი  
მოჰკრა თვალი, რაიკომის მდივანმა ხელი

დაუქნია. შველი გაბედულად მივიდა კოლ-  
ხიდის მშენებელთან.

— ჩვენი ქვეყნის თვალის სინათლე  
სამართალს ვეძებ. ტყე გაჩეხეს, ჰაობი  
ამოაშრეს, შვიარი აკაფეს და რა ვქნა არ  
ვიცი. დღეა მყავს, მამა მყავს, ხომ უნდა  
მოვუარო იმათ? პატარა და მყავს, პატარა  
ძმა მყავს, ხომ უნდა ვიზრუნო იმათთვის?  
შენი ჭირივე, ჩვენი ქვეყნის თვალის სინა-  
თლევე, მიშველე რამე!

კოლხიდის მშენებელმა ახედ-დახედა  
შველს. ხელი ალერსიანად გადაუსვა კისერ-  
ზე.


— რა ლამაზი ხარ, შველო! — მოესმა  
შველს. — ცოდვაა შენი დალუბვა. იცოც-  
ხლე და დამშვენე ჩვენი ლამაზი ქვეყანა!

და კოლხიდის მშენებელმა ისე ასწია  
ხელი, თითქოს ხმლით მოჰკვეთათ სივრცე:

— აქედან ზღვამდე ეს ტყე და ეს ქალა,  
ეს წყალი და ეს შვიარი იყოს ნაკრძალი.  
ამიერიდან ამ ნაკრძალში ცხოვრობდეს  
ლამაზი შველი, ამ ნაკრძალში არ შევიდეს  
შელის არც ერთი მტერი. იცოცხლე  
შველო!...

და მას შემდეგ კოლხიდაში უშიშრად  
ცხოვრობს ლამაზი შველი.

როლიონ ქორია



ნახ. გ. გულაშვილისა

# ჩ ე მ ი ხ ა თ უ ნ ა

ნახ. 8. დაუსვილხა



ვიმ, როგორ დასატულა,  
ჩემი ცვლქი ხათუნა...

დედოფალას კაბუტბ,  
მოეფერა დათუნას,  
(დათუნამ მეგობრულად  
თათი მიუთათუნა).

ვიმ, როგორ დასატულა,  
ჩემი ცვლქი ხათუნა...


მოუსმინეთ, ლექსსაც ამბობს  
მშვენიერი ქართულით,  
ჩემი ქვეენის ულამაზეს  
უვაზილად დასატული.

ასლა ასე უსრუნველად  
თამაშით რომ კართულა,  
გაიზრდება და დედამას  
ასახელებს ხათუნა.

ვიმ, როგორ დასატულა,  
ჩემი ცვლქი ხათუნა.

ალექო მანგალია

# მგზავალი ილა



ნახ. ს. ნადარევილიძისა

ჰავჭავაძის ქუჩის თავში  
ცხოვრობს ერთი ცელქი ბავშვი.  
თურმე მას რომ ილა ჰქვია,  
ყველას, ყველას შეუტყვია.  
აი რატომ:  
როგორც გათენდება დილა,  
ატირდება ჩვენი ილა.

ტირის, მაგრამ  
ნეტავ რისთვის?!  
არც მან იცის,  
არც სხვამ იცის.

ერთხელ ბებომ დიდი ჯამით  
მოუტანა ილას ჩირი.  
ველარ გაძღა ღვეკვით, ჰამით,  
წუნობს, ჩხუბობს, ზის და ყვირის:

რატომ მისცეს ასე ცოტა,  
რად უნდოდა ასე გლახა!  
დაუღია პირი, ხახა,  
დამჯდარა და ბლავის, ტირის.

ტირის, მაგრამ  
რატომ, რისთვის?!  
არც მან იცის,  
არც სხვამ იცის.

ამასწინად მას და რეზოს  
მოუყვანეს ორი ცხენი,  
უნაკლო და უმიზეზო,  
კოხტა ბიჭის დამამშვენი.  
რეზომ ერთი გადახედა,  
არც აცივა, არც აცხელა,  
შემოახტა თავის ცხენს და  
გაახტუნა, გააქენა.

ილა მწყარალად ზის და ხედავს,  
გულზე სკდება—როგორ ბედავს,  
რეზომ ცხენი გაახტუნოს?  
თავის ცხენს კი ავღებს, წუნობს.  
რეზოს ცხენზე თვალი რჩება;  
რეზოს ცხენზე ეფეთება.  
შეუცვალეს ცხენი რეზოს  
სულ უბრალოდ, უმიზეზოდ.  
ბიჭმა ერთი გადახედა,  
არც ეს ლურჯა დაიწუნა,  
შემოახტა უცებ ცხენს და  
გააქენა, გაახტუნა.  
ილა ბრაზობს, იბერება,  
ალარც ეს სურს, არც ის უნდა,

გადაბრუნდა,  
გადმობრუნდა.

ასე ტირის ილა მუდამ.

ტირის, ბლავის,  
რაზე, რისთვის?!  
არც მან იცის,  
არც სხვამ იცის.

მოაწყდება ეხოს ყველა:  
 მორბის ტურა, მორბის მელა,  
 უკან მოსდევს დათვის ბელი,  
 გამოუდევს თხისთვის ხელი.  
 და მოდიან, იცინიან,  
 ნახეს საქმე საკვირველი.  
 მამლაცინწა ფრთას შემოკრავს  
 და ხმამაღლა ყივის, ყვირის:  
 —ხედაუთ, ბავშვი როგორ ტირის?

—ხომ არ სცემეს? ანდა იქნებ  
 დაიმტვრია ცხვირი, პირი? ქართული  
ბავშვებისათვის  
 —არა, როგორ გეკადრებათ,  
 უმიზეზოდ ზის და ტირის!

ტირის, ბლავის,  
 რაზე, რისთვის?!  
 არც მან იცის,  
 არც სხვამ იცის.

მოგვაბეზრა თავი ილამ,  
 რა ბავშვია, რა ყოფილა:  
 რატომ აღებს უშნოდ ხახას,  
 ყველაფერზე რა ატირებს  
 წუნიას და მართლაც გლახას?!

ნიჟოლოზ ჩაჩავა

## ინგლისური ხალხური საბავშვო ლექსები

1

ყველა ზღვა რომ ერთ ზღვად იქცეს,  
 რამოდენა ზღვა იქნება!  
 ყველა ხე რომ ერთ ხედ იქცეს,  
 რამოდენა ხე იქნება!  
 ყველა წალდი ერთი გახდეს,  
 რა დიდი წალდი იქნება!  
 ყველა კაცი ერთი გახდეს,  
 რა დიდი კაცი იქნება!  
 და მერე, უჰ, რა იქნება,  
 დიდმა კაცმა დიდი წალდით  
 დიდი ხე რომ მოსჭრას ნელა  
 და დიდი ხე ზიდად გასდოს  
 იმ დიდ ზღვაზე გასაველელოდ.

2

ბავშვებო, ყური მიგდეთ,  
 ამბავი მინდა გვიამბოთ,  
 ტყეში წაყვინდნენ გაბრიელ,  
 გაშუნნი, გაბრო და ვაბო,  
 იპოვნეს ბუდე,  
 რომელშიაც ხუთი კვერცხი იყო.  
 ოთხი მიგვე დასტოვეს,  
 წამოიღეს თითო.

ინგლისურიდან სთარგმნა  
 ვახტანგ ჭელიძემ



# დაკვირვებულნი ბავშვი

უხანძარი ზღაპარი

ერთმა ძმამ მეორე ძმასთან სტუმრად შეიარა. ეზოში ვირი ლობზე მიაბა და აივანზე ავიდა.

ვირი არ ისვენებდა. პატრონს კარგად ვერ დაება, აიშეა და გაიპარა. როცა ძმებმა ვირის გაპარვა შეიტყვეს, შემოლოდნენ და მის საძებნელად გაიქცნენ. ვზაში პატარა ბიჭი შემოხვდა.

— ჩვენი ვირი ხომ არ გინახავს? — შეეკითხნენ ისინი ბავშვს.

— როგორია თქვენი ვირი? — მაგრამ ბიჭი არ დაელოდა ძმების პასუხს და თვითონვე შეეკითხა:

— თქვენი ვირი ბრმაა მარცხენა თვალით? უკანა ფეხით კოკლია? ზურგზე გადაკიდებული ჰქონდა ძველი, მწვანე ზურჯინი ქერით სასე?

— აი სწორედ ასეთია, ეს არის ჩვენი ვირი! — წამოიძახეს სიხარულით ძმებმა.

— არა, არ მინახავს. — უთხრა ბავშვმა.

— როგორ თუ არ გინახავს! — შეშფიცვრეს ვაკვირებულმა ძმებმა, — შენ ისე კარგად აგვიწერე ჩვენი ვირი და ახლა უარს ამბობ?

— ძმებმა ბავშვი ვირის ქურდად ჩათვალეს, წაავლეს ხელი და მოსამართლესთან მიიყვანეს.


— ბრმა ხომ არა ვარ? — უთხრა მოსამართლეს ბიჭმა, — ბილიკზე დავინახე ვირის ნაკვალევი. უკანა, მარჯვენა ფეხის ნაკვალევი სხვა ფეხების ნაკვალევზე უფრო მკრთალად ემჩნეოდა მიწას, საგრძნობლად პატარაც იყო სხეებზე. ამ ნიშნებით ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ ვირი უკანა, მარჯვენა ფეხით საკმაოდ კოკლობდა, ამას გარდა, ბალახი ვირს მხოლოდ ბილიკის მარჯვენა მხარეზე ეძოვა, მარცხენა მხარეზე კი ხელუხლებელი დაეტოვებ-



ბინა. შე მივხედი, რომ ვირი მხოლოდ მარჯვენა თვალით ხედავდა, მარცხენაით კი არა. ერთ ხისთვის ვირს ზურგი მიუქეპავს. ხის ქერქს მწვანე ძაფები შერჩენოდა, ხის ძირში ქერის მარცვლები ეყარა. ცხადია, ვირს ზურგზე მწვანე ზურჯინი ჰქონია გადაკიდებული, რომელშიც ქერი ყოფილა ჩაყრილი. ვფიქრობ, ზურჯინი ძველი იყო, რადგან მისგან საკმაოდ ბევრი მარცვლი გამოკვენილიყო.

მოსმინა რა ბავშვის ნალაპარაკევი, მოსამართლემ აღტაცებით წამოიძახა:

— ეს ბავშვი ქურდი კი არა, მეტად უკრადლებიანი და დაკვირვებული ყოფილა. — გაამართლა იგი და ძმები კი, ცილისწამებისათვის, გალანდა.



მ ე ლ ა ზ კ ი ბ ო

რუსული ხალხური ზღაპარი

ერთხელ ძელამ უთხრა კიბოს:  
 „შენ გჯობია, ვირუკანა;  
 თუ არ გჯერა, კამეჯობრე:  
 ვინ წინა და ვინ უკანა!“  
 კიბომ იგრძნო, რომ სირბილში  
 ძელას ის ვერ მიეწევა,  
 ისკუნა და სუმაღ, უწინდ  
 ძელას კედზე მიეწევა.

მიდის ძელა გაძმაგებით,  
 სურს გაუსწროს კიბოს წინა,  
 და ვერა გრძნობს, რომ მას კუდით  
 მიჭეპავს კიბო ზაწაწინა.  
 როცა ძელამ ერთ კორასთან  
 მოიქნა კუდი გრძელი,  
 კიბო მოსხლტა და უვეირის:  
 „რა ხანია მე აქ კელი!“

ი გრიგაშვილი



ნახატები ს. მახაშვილისა

# ბებია ბაბაღეს მამალი

ბებია ბაბაღეს ერთი ყოყლოჩინა მამალი ჰყავდა, სახელად ყიმიანუელს ეძახდნენ. ტრაბახით იკლებდა მთელ საქათმეს ყიმიანუელი.


გოგოებო, იცით, მე ამ დღეებით რა შემოძლია გავაკეთო?—მოჰყვა ერთ დღეს ტრაბახს ყიმიანუელი დედლებთან.

— რა შეგიძლია, რა?—ერთხმად ჰკითხეს დედლებმა.

— აი მაგალითად, —განაგრძო ყიმიანუელმა, —თქვენ რომ ყურში გერევით და ყოველთვის გაშინებთ, მე შემოძლია ამ დღეებით თავპირი დაფუსისხლიანო.

— კა... კა... კა... კა...—სიცილი ვერ შეიკავეს დედლებმა.

სად იყო, სად არა, ამ დროს ყურში გამოჩნდა. იგი გაბრაზებული მორბოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა.



ნახტი ს. მაიაშვილისა

ყიმიანუელი აკანკალდა, ერთი მწარედ დაათვართუნა ფრთები და გაიქცა. მირბის ყიმიანუელი და მისდევს ყურში.

— კა... კა... კა... კა... იცინიან დედლები.

ორლომის ბოლოში ის ის იყო უნდა წამოსწოდა ყურში ყიმიანუელს, რომ ღონეგამოლეულმა მამალმა უკან მოიხედა და ყურშის შეეცდრა:

— რას მერჩი, ძმობილო, რა დამიშავევია შენთვის!

— შენი ჯადერი სულაც არა მაქვს, მიუგო ყურშამ, — მურია გავებარებე, ვა-  
მოამეციდა და იმას გამოვექეცი.

გადარჩენილი ყიმიანული ერთი საშინლად აიფხორა და ლასლასით გაქრ-  
ნდა დედლებთან.

— გოგოებო, ხომ ნახეთ, როგორ შევაშინე ყურშამ! — ხმაშალალი ყივილით  
სთქვა მან.

— კა... კა... კა... კა... — გაიციინეს დედლებმა.

— მაშ, ჩემი ვაჯაკობა არ გჯერათ? მე თქვენ ვიჩვენებთ სეირს! — დაემუქრა  
დედლებს ყიმიანული.

მაშინ ერთი მეგრულა დედალი გამოვიდა და სთქვა:

— შენი ვაჯაკობა კი გჯერა, მაგრამ ეს პირველად უნახეთ, რომ შემშინე-  
ბელს შეშინებული ვაჰკიდებოდეს.

პატარებო, თქვენს შორისაც ხომ არაყის იცნობთ ასეთ ყიმიანულს?

მიორამი ივანიშვილი

# საგზაფხულო სიმღერა




- საიდან მოდის ნინო?
- საიდან მოდის ნელი?
- საიდან მოდის ნანა?

ნინო, ნელი და ნანა  
მოდიან სკოლიდანა.  
მოდიან, ვარდებს გვანან,  
ასე მღერიან თანა:  
„ჩვენი სამშობლო, ბალი,  
ტყე, მინდორი და ყანა  
დღეს უფრო წარმტაცი და  
უფრო ლამაზი ჩანან.  
მონიბლული ვართ ყველა,  
მხოლოდ იმიტომ ვახა,  
რომ გაზაფხულის ნამმა  
ბუნება ააშწვანა?  
გვახარებს ოქროს ხანა,  
ბელადმა — ჩვენმა მამამ —  
მამულს რომ მოუტანა.“  
მოდიან, ვარდებს გვანან,  
ასე მღერიან თანა  
ნინო, ნელი და ნანა.

აკრო მინელი

# ჩეხუსი



# ბამოცანეზი

(შედგენილი აღიხსა ფრუმიხის მიერ)

1. ლეგა არის, რუსი ფერის, დღე და ღამე დარბის დაძრწის, ბუკეკა თუ შეეფეთა ამოსუნთქვას არ დაცვლის. (სამნივე)
2. თუ მუშაობას დამაცვლი, ჩაკიტებარუნებ უელსაო, თუ სელს შექიძლი, გიებენ და განახსუებ ჭირის დღესაო. (იჟერძმხ)
3. მწვანე სტუნია მწვრია, ნათესის დიდი მტერია. (სამეფ)

# ნოღარის ბოსტანი

ქართული  
ენების



1. პატარა ნოღარმა კილაში წიწმავის და-  
თესვა მოიწადინა.



2. თუ გინდა რომ მცენარე მალე ამოვი-  
დეს, ნოყიერი მიწა უნდა შეურჩიო, —უთხრა  
დედამ.



3. საღ გვიო ნოყიერი მიწა, მოდი, ერთ  
ბერხს ვიხმარ, —სთქვა ნოღარმა და როდესაც  
დედა სახლიდან გავიდა, მიწით სავსე კოთან-  
ში ერბო ჩაასხა.




4. მიუხედავად იმისა, რომ პატარა „ბერო-  
ნომმა“ მიწა ძალზე „გაანოყიერა“, წიწმავი  
მინც არ ამოვიდა.

საქართველოს  
ბეჭდვითი  
სამსახური



მერცხლები მოფრინდნენ



განაშ. შვედეთის № 82      სტამბის შვედ. № 251      ტირაჟი 7.000      ფე 06672.

ლ. პ. ბერძენის სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.  
ფურცელი ჩვეულებრივად დაბეჭდილია სხვა კვების შერეულ სახ. კომისარიატის ლილიგრაფიაში